მომსახურების ხელშეკრულება

მომსახურების ხელშეკრულებით შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას გასწიოს გარკვეული მომსახურება შეთანხმებული საზღაურის სანაცვლოდ.

მომსახურების ხელშეკრულების მხარეები შიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე პირთა გაერთიანებებიც.

მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით და აღნიშნული დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე.

მომსახურების ხელშეკრულება შიძლება დაიდოს ნებისმიერი კანონით აუკრძალავი მომსახურების გაწევაზე.

შენიშვნა: მომსახურების ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

მომსახურების ხელშეკრულება #92

კასპი 26 დეკემბერი 2016წ.

ერთის მხრივ, კასპის მუნიციპალიეტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება ს/კ 232559825, წარმომადგენელი გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი (შემდგომში შემკვეთი) და მეორეს მხრივ, შპს ,,რიო'' წარმომადგენელი შოთა ციმაკურიძე (შემდგომში შემსრულებელი) ს/კოდი 404471987 ნების თავისუფალი გამოვლენის საფულზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე: შპს ,,რიო''მოემსახუროს საახალწლო მანქანით და ანიმაციური გმირებით.

ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემკვეთის დავალებით შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა: კერძოდ, ა/წ 31 დეკემბერს კულტურის დაწესებულებების გაერთიანებას შპს,, რიო'' მიაქირაოს საახალწლო მანქანა ანიმაციურ გმირებთან ერთად

2. მომსახურების წესი

2.1 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პირადად.

2.2 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი დღის ვადაში.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. გაწეულ მომსახურების მთლიანი ღირებულება ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად შეადგენს 500 ლარს.

3.2. საზღაურის გადახდა მოხდება მომსახურეობის გაწევიდან მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში ვადაში.

3.3. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო (ნაღდი/უნაღდო) ანგარიშსწორების წესით.

3.4. საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს შემსრულებელი გადაიხდის პირადად (ან დაუკავებს შემკვეთი)..

3.5. ანგარიშსწორება წარმოებს სახ. შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით 70130000

3.6. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა დადებიდან მიმდინარე წლის 2017 წლის 31 იანვრამდე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალსიწინებელი ხასიათი.

5.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და

ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. დავა

მხარეთა წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად.

7. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

9. დასკვნითი დებულებანი

9.1. მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები

შემკვეთი:	შემსრულებელი: შპს„რიო"
კულტურის, დასვენებულებების გაერთიანების დირექტორი:	ს/კ 404471978 დირექტორი:
/მიხეილ ქოსაშვილი/	/შოთა ციმაკურიძე/